



რას ნიშნავს იყო ხანდაზმული საქართველოში?

**თამარ მაღალდაძე, 61 წლის,
თეთრიწყაროს რაიონის სოფ. კოდას დევნილთა დასახლება**

მე ვარ თამარ მაღალდაძე დაბადებული 1953 წელს ცხინვალის რაიონის სოფ. ქემერტში. ამჟამად, როგორც დევნილი, ვცხოვრობ თეთრიწყაროს რაიონის სოფ. კოდის დევნილთა დასახლებაში მე-9 კორპუსში, ბინა 19. ვარ პენსიონერი, მაგრამ ვერ ვამბობ, რომ ვარ ხანდაზმული, რამეთუ დედა მყავს თვითონ ხანდაზმული და „სანამ დედა მყავს არ დავბერდები“.

ხანდაზმულობა ჩემი აზრით თან სანატრელია, იმიტომ, რომ ადამიანს წუთისოფელში გატარებული მრავალი წელი გამოსდის, თან არასასიამოვნოა - რადგან აღარ ხარ ახალგაზრდა, სასურველი და ყველაფრის შემძლე...

მე ბოდიშს მოვუხდი საქართველოს დამშვიდებულ რეგიონებში მცხოვრებ ხანდაზმულებს, რადგან მათ ცხოვრებას არ შეეძებინებინა და არც მშურს მათი. მე მხოლოდ ჩემი და ჩემნაირი ბუდე აწეწილი ხანდაზმულების ყოფა-ცხოვრების ანალიზით შემოვიფარგლები.

ჩემს დღევანდელ საცხოვრებელ კორპუსში ძირითადად ხანდაზმულები- მოხუცები ცხოვრობენ. ხუმრობით სათნოების სახლსაც უწოდებენ. მათი უმრავლესობა მარტოდ ცხოვრობს, შვილებისაგან მოშორებით. ზოგიერთ მათგანს არც ჰყავს შვილი, ან ვინმე მარჩენალი. ამიტომაც არის, ალბათ, რომ ერთი მეორეს განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობიან; არ აქვს მნიშვნელობა, რომელი სოფლიდანაა წამოსული, კაცია თუ ქალი. ზოგი უსინათლოა, ზოგი ორი ჯოხით დადის, ზოგი წელში მოხრილია, ზოგს ცოტა ხელის წაშველება უნდა, რომ ეზოში გამოვიდეს, ზოგი სულაც საწოლშია, ზოგი პატარა მიწის ნაკვეთს ამუშავებს, მოსავლის მოყვანაც შეუძლია საკუთარ მარჯვენით. ნეტავი ნახოთ, რა სიხარულით და სიამაყით გაუწოდებენ ერთმანეთს მოყვანილ პროდუქციას თუ სამომავლო თესლეულობას. ვისაც შეუძლია სიარული და გული ერჩის სამუშაოდ, ჩვენ, უფრო შემძლე ხანდაზმულები მხოლოდ უბრალოდ თუ მივებმარებით მათ საქმიანობაში, რადგან გვინდა რომ გაერთონ მიწის მოფერებით, ესაუბრონ მიწას ჭირ-ვარამზე, წარსულზე და გამოაჯავრონ - „სანამ შენ შეგვჭამ - ჩვენ შეგჭამით“. იქნებ, ამასობაში

ჩვენ ჩვენ მიწა-წყალს დავუბრუნდეთ, რომელიც ასე სანუკვარი გაუხდა თვითეულ ჩვენგანს...

საქართველოში ოდითგან დიდი პატივისცემა ჰქონდა მოხუცს-ხანდაზმულს. გადმოცემით ვიცით და მე თვითონაც ვარ შემსწრე, ქორწილში ან ქელებში ხანდაზმული კაცის სიტყვა იყო პირველ რიგში მისაღები. თუ ქორწილს ბოლომდე არ შემორჩებოდა ხანდაზმული, პირველ სიტყვას - სადღეგრძელოს აუცილებლად ხანდაზმული წარმოსთქვამდა. გამრავლებას, სიმშვიდეს და ტკბილად შებერებას უსურვებდა ნეფე-დედოფალს. ასე იყო საეკლესიო რიტუალების შესრულებისას.

დღეს, ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ, რომ ეს წეს-ჩვეულება ნელ-ნელა იკარგება. სულ ახლახანს ერთ ფაქტს შევესწარი: ჩემს მეზობელს შვილიშვილი გაუბედნიერდა. ნიშნობა გადაიხადეს, მოხუცი ბებო რამდენიმე ხანი ოცნებობდა და ემზადებოდა კიდევ ამ ბედნიერი დღისთვის, მაგრამ არ წაიყვანეს ბედნიერების დამსწრედ, სწორედ ხანდაზმულობის გამო - „აი მოხუცი ხარ და ქორწილში ხომ ვერ წახვალ“.

ისე, თვითონ ხანდაზმული ადამიანი თავისთავად ამბობს უარს სადღესასწაულო რიტუალებში მონაწილეობის მიღებაზე. ეს ჩემი ადრინდელი გამოცდილებიდანაც მახსოვს, როცა ჩემს ცხოვრებულ დედამთილს ვეხვეწებოდი შენს დედულებით მაინც წაგიყვანთ, ხალხს ნახავ, გაიხარებ-თქო. აქეთ საყვედურს გვამღევდა: „თქვენ არ იცით, როგორი დამამცირებელია ჩემთვის, რომ ვეღარც ლამაზად დავდივარ და არც ჩაცმა- დახურვა მიხდება“-ო.

ჩემს განვლილ ცხოვრებას, რომ გადავხედავ მიკვირს, როგორ თვალსა და ხელს შუა გაიპარა წლები და პოეტის არ იყოს „სიბერე ძუ მგელივით მომეპარა“. ახლა მე რა ასაკისაც ვარ, ბავშვობაში ამ ასაკის ხალხი რაიმეს რომ იხსენებდა, მიკვირდა როგორი დიდია და რა კარგად ახსოვს თავის შესახებ რაიმე ამბავი მეთქი. თურმე, სწრაფად გადის წლები, ამიტომას ჰქვია ცხოვრებას წუთისოფელი...

არ შემიძლია არ გავიხსენო, ჩემი ბავშვობის წლებში ჩვენს სოფელში, უშუალოდ, ჩემს უბანში ერთი მოხუცი კაცი ცხოვრობდა - დათა მეტრეველი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და გერმანიაში ტყვედ ნამყოფი დიდი ხნით. უწია თავისუფლებამ და დაბრუნდა თავის სოფელში. ალბათ, კარგ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, რომ მშობლიურ სოფელში დაბრუნება და წინაპრების სასაფლაოზე დამარხვა ეღირსა. იმიტომ გავიხსენე ის ცხოვრებული მოხუცი, რომ არ ვიცი რამდენი გაზაფხული იცხოვრა თავის სახლში და როგორც კი გაზაფხულის სითბო დაიწყებოდა, გამოვიდოდა პატარა სკამით კედლის ძირში, ნახევრად იჯდა სკამზე

წამოწოლილი და მღროდა ერთ დონეზე: „ძნელი ყოფილა სიბერე, ტოლია სიპი ქვისაო“, იმეორებდა და იმეორებდა. მე სულ მაინტერესებდა ამ კაცმა ბრძოლა გამოიარა, გერმანიაში ტყვეობაში იყო და იმაზე უარესი როგორღა არის ეს სიბერე მეთქი. ერთხელაც დავალება მქონდა, უშუალოდ გამომეკითხა ომის მონაწილე მოხუცებისათვის

ყველაფერი რაც თავს გადახდათ, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ დავაცდენინე, პირველად დაიწყო – „Och kinder,kinder“, მაგრამ გაახსენდა, ალბათ, რომ საიდუმლო არ გაეცა და მკაცრად წარმოსთქვა – „nein,nicht“ და განაგრძო „ძნელი ყოფილა სიბერე, ტოლია სიპი ქვისაო“. ახლა ნაწილობრივ ვხვდები მისი სიტყვების დედააზრს... ხანდაზმულობა მოსარიდებელიც ყოფილა და მოსაფერებელიც. ყველა საქმეში ვერ ჩართავ ხანდაზმულებს, რადგან უიმედოა. ნათქვამიც ხომ ვიცით, ბავშვსა და მოხუცს ერთნაირად მოფერება უნდაო, იმ განსხვავებით, რომ ბავშვს რომ ვეფერებით და პატივს ვცემთ – იზრდება, მაგრამ მადლობას არ გვეუბნება, მოხუცი კი მადლობას გვეტყვის და ჩემი ხნისა მოიყარეო დაგლოცავს...

ქართველები ძველიდან კეთილი საქმის გამკეთებელს შექებას და დალოცვას მრავალნაირად გამოხატავენ: „თეთრი წვერით დაბერდი“, „ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს“, „ მანამ იცოცხლე სანამ შენი კაბის ტარებას შეძლებ“, „შვილის შვილი მოგემსახუროს“ და ა.შ. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ხანდაზმული თავის ახალგაზრდობას ნატრულობს, იხსენებს, თავს იწონებს... მაგრამ თუ ასე არასასურველია ხანდაზმულობა, თავის ახლობელს რატომღა უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს და თეთრი წვერით დაბერებას?

ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ალბათ მოხუცის და გოდორის ამბავი. აქედან დასკვნა, ალბათ ყველა შვილმა უნდა გააკეთოს, რომ როგორც თვითონ ექცევა მშობლებს, ანალოგიურად მოექცევიან მასაც შვილები. რა თქმა უნდა, თვითონ ხანდაზმული ადამიანი დიდი საფიქრალის წინაშე დგება, რადგან ვერ ათვითცნობიერებს თავის შესაძლებლობებს. ეჩვენება, რომ ისევ შესწევს უნარი ამა თუ იმ საქმის კეთებისა, ფაქტობრივად ვეღარ ასრულებს. ამასთან ოჯახის წევრებისგან მოითხოვს ალბათ იმაზე მეტს, რისი კეთებაც შეუძლიათ, ამიტომაც რომ უკმაყოფილება ჩამოვარდება ხანდაზმულსა და ოჯახის წევრებს შორის.

ყველას გვინახავს ალბათ ქუჩაში მჯდომი ხელგაწვდილი, კაპიკების მთხოვნელი მოხუცი. ზოგიერთი ასეთი ხანდაზმულის შეხედვაზე სულ გეკარგება ადამიანს შვილზეც, ნათესავზეც და საკუთარ თავზეც წარმოდგენა. რამ მიიყვანა ეს

ადამიანი ამ მდგომარეობამდე? მართლა გაჭირვებამ, პურის ფულის უქონლობამ, თუ ანგარებამ, რაიმე სიხარბემ, ფულის დაგროვებამ? არ ვიცი...

ამ ესეს წერისას სურვილი გამიჩნდა მეკითხა – როგორ აღიქვამს ხანდაზმულის მდგომარეობას ეკლესია და სამედიცინო სამსახური? მოხუცის მიზრძანება ეკლესიაში, ლოცვა-ვედრება და მუდმივ მრევლად ქცევა მიზანშეწონილიცაა და აუცილებელიც, რადგან ამით უფრო უახლოვდებიან ღმერთს და სამუდამო ცხოვრებას – სამოთხეს. კომპეტენტური მედიცინის მუშაკის ახსნა-განმარტებით ხანდაზმული პაციენტი მისთვის გარდა დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა, ჩვეულებრივი ადამიანია, რომლის სიცოცხლის გადარჩენისა და საზოგადოებაში დაბრუნებისათვის ყველაფერს აკეთებს გულით და სულით.

საქართველოში ხანდაზმული ადამიანის ცხოვრება დღეისათვის არ არის დალხინებული. ამას ახლო-მახლო მყოფი ხანდაზმული ადამიანების ცხოვრებიდან გამომდინარე ვამბობ... არის შემთხვევა, როცა მოხუცს სურს გულით რაიმე პროდუქტის შექმნა, მაგრამ ვერ იმეტებს თავისთვის, რადგან ოჯახს სულ სხვა დანიშნულებისთვის ესაჭიროება მისი კუთვნილი პენსიის თანხა. არის შემთხვევა, როდესაც ვინმეს პატივისცემა უნდა, მაგრამ პენსია არ არის მის ხელში, მინდობილობით აიღო მისმა ოჯახის წევრმა სხვა საქმისათვის. საქართველოში იყო ხანდაზმული ნიშნავს ოჯახის მარჩენალს... მე რომ მიმიწვდებოდეს ხმა მთავრობაში ხანდაზმულის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, შევახსენებდი მისი ოჯახის წევრების დასაქმებას. ყველას თავისი წილი ოჯახური ბიუჯეტის შექმნას, რომ ხანდაზმულს გაუთავისუფლდეს შემოსავლის ხარჯვის მიმართულება.

ამ ესეის მიმღებს, წამკითხველს, ყველას გისურვებთ დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს, კეთილ, მშვიდობიან და ხელგაშლილ ხანდაზმულობას. ჩვენ, დევნილ ხანდაზმულებს, კი გაძლებას და საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებას.

What Does It Mean To Get Old in Georgia?

Tamar Magaldadze, 61, Koda IDP Settlement, Tetrtskaro

I am Tamar Magaldadze, born in 1953 in the village of Kemeru in the Tskhvali region. Currently, as an internally displaced person (IDP), I live in the IDP settlement in the village of Kodi in the Tetrtskaro region. I am a pensioner but I can't say I am an old person as I have an old mother and 'as long as I have a mother, I won't get old'.

In my opinion, old age is a dream to many people as it means that a person has lived a long life, sometimes it is not very pleasant as he is no longer young, when you are strong and mighty....

I would like to apologize to old people living in peaceful regions of Georgia as I will not cover their lives and I am not envious of them. I will only analyze the lives of those people who have had to flee from their homes.

Most of the people living in my apartment building are old. People sometimes call the building a 'House of Virtue'. Most of the residents live alone, far from their children. Some of them do not have children or anyone to support them. That's why people treat each other with a special respect and love; it does not matter which village they are from, or if they are a man or a woman. Some are blind, some walk on crutches, some walk with a stoop, some need a bit of help to go out, some are in bed, some work on a small plot of land and harvest their crops. You should see their happiness and pride when they treat others with the produce that they have grown. Those who can walk are very willing to work. We old people, who are in a better physical condition, help them a little so that we can help them to keep busy, thus entertaining themselves, 'talking to their plot of land about the past'. We hope that one day it may be possible to return to our villages - that is a dream for all of us.

Old people have been always respected in Georgia. I remember others saying this and I have witnessed it myself, how people at weddings and funerals respected older people's words. If there were old people at weddings, the first toast was always proposed by them and they wished a newly married couple many children, peace and sweet old days. The same happened during church rituals.

Let's be sincere and acknowledge that this tradition is dying little by little. I witnessed this a while ago. My neighbour's grandchild was going to marry and there was an engagement party. The old grandmother dreamed and prepared for the special day but she wasn't taken to the wedding reception because of her age: "You are old and won't be able to go to the wedding reception," her family said.

However, in most cases, old people don't want to go to receptions themselves. I remember this from my past experience when I used to ask my mother-in-law to come to my village. She always refused, saying: "You don't know how insulting it is for me not to be able to walk or dress nicely..."

When I remember my life, I am surprised how the years have passed by unnoticed and as the poet said, 'Old age approached like a wolf'. When I was a child and saw people of my current age I was surprised at how long their lives were and how well they remembered their life stories. As it appears, life goes by quickly, years fly by...

I can't help remembering my childhood, spent in my village. There was an old man living nearby - Data Metreveli - who fought in the Second World War and was held prisoner in Germany for a long time. He was freed and able to come back to his village. He was lucky enough to be able to return to his native village and to eventually be buried in his ancestors' cemetery. I remember him as I don't know how many springs he had lived in that house but as soon the spring came he used to come out and sit on a small chair near a wall and sing, monotonously: 'Old age is difficult...' He used to repeat and repeat these words. I was interested why this man, who fought in the war and was even a prisoner of war in Germany, thought that old age was more difficult.

Once, my homework from school was to interview war veterans. I wasn't able to get a word out of him. At first he started saying "Ach, Kinder, Kinder" (Oh, children, children) but then he seemed to remember not to disclose a secret and said seriously "nein, nicht" (no, not) and continued singing his song. Now, I partially understand his words... Old age is to be cared and respected. Old people can't participate in all activities as they feel hopeless. There is a saying that 'a child and an old person should be treated similarly,' the difference being that when we care for a child, he grows up but doesn't thank you, whilst an old person will thank and bless you.

Georgians praise and bless using different words: 'Get old with a white beard', 'May God give you a long life', 'Let you live till you are unable to put on your own dress yourself', 'Let your great grandchild look after you', etc. I am sure that each old person would like to be young again; when reliving those years in their memories, they feel happy... But if old age is undesirable, why wish others a long life, to become old with a white beard?

I am sure everybody remembers the story of an old man and a basket.¹ And the conclusion is that each parent should treat their children the way they want to be treated when they get old. An old man has a lot of thoughts that don't always realize their potential. They think they can still do things but the reality is different. They may be asking their family members to do more than they can do and that's why there may be a disagreement between old people and their family members.

Everybody has seen an old person sitting in a street with their hands stretched out, asking for a few coins. Sometimes you wonder if they have children or relatives and try to put yourself in their shoes. What made them act like this? A difficult life, lack of money to buy bread, or greed, a longing for money? I don't know...

When writing this essay I wanted to ask how the church and medical services perceive old age? To go to church, pray and become a parishioner is absolutely necessary as you come closer to God, immortality and paradise. According to a qualified medical doctor, an old person is a regular patient who wants his life to be saved by all means and wishes to return to society.

Old people do not have a happy life in Georgia. I say this based on my observation of old people's lives around me. There are some cases when an old person would like to buy something for himself but can't afford it as his family needs his pension for something else. Sometimes, being an old person in Georgia also means being a breadwinner for the family. If the government could hear my voice, I would ask them to help family members of old people to get jobs and then old people would not have to share their scanty pensions with anybody else.

I wish everybody who receives and reads this essay a long life and a kind and peaceful old age. And I wish tolerance and a return to their native land for internally displaced old people.

With love and respect,

Tamar Magaldadze, who has reached her old age.

¹ This folk parable tells the story of a father who sees his son making a Godori (a big basket of cylindrical shape with a cover, usually used to move heavy things). He asks his son: 'Why are you making this Godori?' The son: 'To put you inside and throw you away'. The father responds: 'In this case, make it of good quality so that your son can use it too'. The moral is: treat your parents as you want to be treated yourself by your children.